



## ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

### ო კ მ ი N2

ქალაქი ბათუმი

2023 წლის 13 თებერვალი  
11<sup>00</sup> საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - რამაზ ჯინჭარაძე.

#### ე ს წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ :

- |                   |   |
|-------------------|---|
| ირაკლი თავდგირიძე | - საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;   |
| ნატალია ზოიძე     | - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;   |
| ზურაბ ნაკაიძე     | - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;   |
| მინდია გოგუაძე    | - საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე;                           |
| დავით მახარაძე    | საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო<br>- საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;                    |
| ლევან ცხოიძე      | - საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა<br>და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| გოჩა მგელაძე      | - საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური<br>განვითარების კომისიის თავმჯდომარე;               |
| ნერიმან ცინცაძე   | - საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ<br>საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;                  |
| თენგიზ აფხაზავა   | - ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული<br>საქართველო“ თავმჯდომარე;                     |
| ასლან ბალაძე      | - ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული<br>საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე;           |
| როსტომ ხალვაში    | - ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული<br>საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე;           |

ლევან დოლიძე	- ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე;
ლევან ბერიძე	- ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე;
გიორგი ლომთათიძე	- საკრებულოს წევრი;
ნინო ცხვარაძე	- საკრებულოს წევრი;
აკაკი გვიანიძე	- საკრებულოს წევრი;
თეონა ბერიძე	- საკრებულოს წევრი;
რიჩარდ სირაბიძე	- საკრებულოს წევრი;
ნატალია ძიძიგური	- საკრებულოს წევრი;
ვაჟა დარჩია	- საკრებულოს წევრი;

**არ ესწრებოდნენ:**

ნოდარ დუმბაძე	- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე;
ნაზი ფუტყარაძე	- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
ბაჩი მექვაბიშვილი	- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
მამუკა ქობულაძე	- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
ნატო ნაცარაშვილი	- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
ლაშა კილაბერია	- საკრებულოს წევრი.
თეკლა კავაზაშვილი	- საკრებულოს წევრი;
ალექსანდრე ვარშალომიძე	- საკრებულოს წევრი;
ირაკლი ზოიძე	- საკრებულოს წევრი;
ქეთევან ლასტაკანიძე	- საკრებულოს წევრი;
ეკატერინე ზარია	- საკრებულოს წევრი;

- ილია ჯინჭარაძე - საკრებულოს წევრი;
- კახაბერ ქაშიბაძე - საკრებულოს წევრი.
- რევაზ ხარაზი - საკრებულოს წევრი;

**სხდომას ესწრებოდნენ:**

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი - არჩილ ჩიქოვანი;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - ლელა სურმანიძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი - ნუკრი დეკანაძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ედნარ ნატარიძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსის მ/შ - მამუკა რამიშვილი;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - დავით კოპინაძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის უფროსი - რუსუდან ჟოჟაძე;
- შპს „ბათუმის წყალი“-ს დირექტორი - ალექსანდრე მჟავანაძე;
- ა(ა)იპ - „გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური“-ს დირექტორი - თამაზ სალუქვაძე;
- ა(ა)იპ - „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ დირექტორი - დავით დიასამიძე;
- ა(ა)იპ - „მუნიციპალური სერვისების სააგენტოს“ დირექტორი - ჯაბა ბერიძე;
- ა(ა)იპ - „ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის“ დირექტორი - არჩილ კონცელიძე;

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები:**

- საკრებულოს აპარატის უფროსი - რაულ ბოლქვაძე;
- საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე;
- საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე;
- საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევენარ წულუკიძე;
- საკრებულოს აპარატის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ლელა ნემსაძე;

-საკრებულოს აპარატის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - ბადრი წულუკიძე;

- პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ და განაცხადა, რომ ამ დღეებში თურქეთსა და სირიაში დაღუპული გმირების პატივსაცემად დღევანდელი სხდომა დაიწყო წუთიერი დუმილით.

საკრებულოს წევრებმა პატივისცემის ნიშნად წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს დაღუპულ გმირებს.

საკრებულოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკრებულოს სხდომას ესწრება საკრებულოს წევრთა ნახევარზე მეტი, სხდომა უფლებამოსილია განიხილოს დღის წესრიგით გათვლისწინებული 12 საკითხი. დასვა კითხვა დღის წესრიგით წარმოდგენილ განსახილველ პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით შეკითხვების არსებობის თაობაზე, რაზედაც საკრებულოს წევრებს სიტყვა არ გამოუთქვამთ.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი:**

#### **დღის წესრიგი :**

**საკითხი 1.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 დეკემბრის №31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის  
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ედნარ ნატარძე)

**საკითხი 2.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023-2027 წლების მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის  
მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის უფროსი - რუსუდან ჟოჟაძე)

**საკითხი 3.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიაზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (დასახლება მეჯინისწყალი, ფრიდონ ხალვაშის 188; ს/კ N05.32.09.877; აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო).

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსის მ/შ - მამუკა რამიშვილი)

**საკითხი 4.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიაზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (რუსთაველის ქ. N20; ს/კ N05.22.06.001; შპს „ორიქსი“).

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსის მ/შ - მამუკა რამიშვილი)

**საკითხი 5.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (რუსთაველის ქ. N21-ში, ს/კ N05.22.12.029; შპს „გრინკო“).

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსის მ/შ მამუკა რამიშვილი)

**საკითხი 6.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ფარნავაზ მეფის ქ. N68-ში, ს/კ N05.22.30.004; შპს „დიო ბილდინგი“).

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსის მ/შ მამუკა რამიშვილი)

**საკითხი 7.** „სახელმწიფო და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

**საკითხი 8.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

**საკითხი 9.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული ქ. ბათუმში, რეჯებ ნიჟარამის ქუჩა N6-ის მიმდებარედ არსებული 44,00 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

**საკითხი 10.** „ხელმისაწვდომი საცხოვრისით სარგებლობის კრიტერიუმებისა და ბენეფიციართა შერჩევის ინსტრუმენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 თებერვლის №15 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

**საკითხი 11.** „მუნიციპალური პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“-ს ფარგლებში ქ.ბათუმში, ივანე ჯავახიშვილის ქ. N82-ში აშენებულ საცხოვრებელ კორპუსებში ბინების ღირებულებისა და ბენეფიციართა მიერ ყოველთვიური გადასახადის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

**საკითხი 12.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ.ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის ქ. №231-ის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკრებულოს თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -19 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხოიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.ძიმიგური)

წინააღმდეგი - 2 (ა. გვიანიძე, ვ.დარჩია)

საკრებულოს წევრი აკაკი გვიანიძე თურქეთში განვითარებულ მოვლენებს შეეხო, სადაც საქართველოს 5 მოქალაქე დაიღუპა. აქტიურად დაიწყო ქვეყანაში ამ თემასთან დაკავშირებით დისკუსია, მაგალითად დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებისა და სეისმოლოგიური მონიტორინგის ეროვნული ცენტრის წარმომადგენლების გავრცელებული განცხადებები იმასთან დაკავშირებით, რომ ფაქტობრივად დღეს მშენებლობის ხარისხი მშენებლობის კეთილსინდისიერებასთანაა დამოკიდებული, რადგან რეგულაციები მოძველებულია და კონტროლი ნაკლები. მან წამოაყენა წინადადება ბათუმში არსებული შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების, მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ გაწეული საზედამხედველო საქმიანობის (დასრულებული ნაგებობების გაცემულ ნებართვასთან შესაბამისობის დადგენის პროცესის) შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე, რომელიც უზრუნ-

ნველყოფს საფრთხეების პრევენციას, მათ შორის შესაძლო ბუნებრივი კატასტროფების (მათ შორის მიწისძვრის) შემთხვევაში.

საკრებულოს წევრმა, ნატალია ზოიძემ აღნიშნა, რომ სეისმოლოგიური ცენტრი სხვა ინფორმაციასაც გვაწოდებს იმასთან დაკავშირებით, რომ პანიკა არ გავრცელდეს მოსახლეობაში. რაც შეეხება პრინციპს რეგულაციებისა ჩვენს ქალაქში საკმაოდ ბევრი სპეციალისტია, რომლებიც აღნიშნავენ თუ რამდენ ბალიან მიწისძვრას გაუძლებს მშენებლობები.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა რომ მიწისძვრასთან დაკავშირებულ საკითხებზე უნდა ისაუბრონ დარგობრივმა სპეციალისტებმა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ აკაკი გვიანიძის წინადადება (ბათუმში არსებული შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების, მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ გაწეული საზედამხედველო საქმიანობის (დასრულებული ნაგებობების გაცემულ ნებართვასთან შესაბამისობის დადგენის პროცესის) შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნა, დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -2 (ა. გვიანიძე, ვ.დარჩია)

წინააღმდეგი - 19 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხოიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.ძიმიგური)

საკრებულოს წევრმა ვაჟა დარჩიამ აღნიშნა, რომ 2022 წლის 7 დეკემბერს საქართველოს პარლამენტში აჭარის მაჟორიტარებმა დაარეგისტრირეს კანონპროექტი, რომელიც გულისხმობს სამშენებლო ამნისტიის პაკეტს, გარდა ამისა წინა კვირიდან დაწყებული პარლამენტში მიდის განხილვა მუნიციპალიტეტებისთვის გენერალური გეგმების, რომელშიც ასეული ათასი ლარია გადახდილი და მიმდინარეობს სამუშაოები. სითი ინსტიტუტი დღემდე ამბობს, რომ ქალაქში სხვადასხვა წლებში აშენებულია ქალაქისთვის შეუსაბამო 2305 ნაგებობა, წინა და ასევე ახალი ხელისუფლების პირობებში, ამის ფონზე როცა იქმნება დოკუმენტი, რომელმაც უნდა განსაზღვროს ამ ქალაქის ურბანული პოლიტიკა, წინსწრებით იღებენ ცვლილებებს. ეს მისი საკრებულოში ყოფნის დროს მესამე ქეისია, რომელიც ბათუმზეა მორგებული. პირველი იყო უფლებამოსილების ცნობის ნაწილი, მეორე - ავარიული სახლების პროგრამა.

საკრებულოს წევრმა აკაკი გვიანიძემ სოციალური კრიზისის თაობაზე ისაუბრა, რომელიც შეიქმნა უკონტროლო მიგრაციასთან დაკავშირებით, გამოქვეყნდა კვლევებიც და მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ემხრობა რუსეთის მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმის დაწყებას, სამწუხაროდ ბათუმსა და თბილისს შეეხო მძიმედ. ბათუმში დღეს უამრავი ადამიანი ბინას ვეღარ შოულობს, მათ შორის დასაქმებული ადამიანები, რომლებიც ჩამოსული არიან რეგიონებიდან და სამსახური იშოვეს. ასევე სტუდენტები მძიმე მდგომარეობაში არიან, რადგან სასწავლო სემე-

სტრი იწყება და ბინების პრობლემა. სახელმწიფომ უნდა იზრუნონ ასეთ თემებზე. საქართველოს პარლამენტში დარეგისტრირებულია პარტიის „საქართველოსათვის“ მიერ და იმედია ამ რეზოლუციას თანხმობა ექნება. ასევე მეორე საკითხია მოსახლეობის შეცდომის შეყვანის მცდელობის ინიციატივა პრემიერ-მინისტრის მხრიდან, რომელიც ამბობს, რომ ფასების რეგულაციაა საჭირო. ეს არის ბლეფი და უსინდისოდ მოტყუება, რადგან ეკონომიკის რეგულირებად სფეროს მიეკუთვნება ადგილობრივი შიდა საქალაქო გადამყვანი სამარშრუტო ტაქსების საფასური, რომელთა ტარიფს ადგენს საკრებულო, რომელმაც დაამტკიცა 50 თეთრი, მაგრამ რეალურად თითოეული მოქალაქე იხდის 70 თეთრს. მან მუნიციპალიტეტის მერს მიმართა იაფ სახლთან დაკავშირებით განცხადების გაკეთების თაობაზე.

საკრებულოს წევრმა ნინო ცხვარაძემ ვაჟა დარჩიას კომენტარს გასცა პასუხი და განაცხადა, რომ მაჟორიტარები საქართველოს პარლამენტში რომელიმე კომპანიასთან ვალში არიან, ეს არის მოსახლეობის შეცდომაში შეყვანა, რადგან უფრო ადრე იგეგმებოდა სამშენებლო ამნისტია. რაც შეეხება მეორე საკითხს-ყველა კარგი პროექტი ბათუმზე კი არა მოსახლეობაზეა მორგებული.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ საკრებულოს აპარატს დაავალა ყველა განცხადების ოქმის სახით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში გადაგზავნა და განაცხადა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყების თაობაზე.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

**საკითხი 1.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 დეკემბრის №31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ედნარ ნატარძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, წარმოადგინა დადგენილების პროექტი, აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები შესაბამისობაშია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებთან და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე. პროექტით ხორციელდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლისათვის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების და გასაწევი გადასახდელების ნუსხის დამტკიცება საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად, კერძოდ ცვლილება შედის ბიუჯეტის ნაშთის ცვლილებაში. ასევე, გადასახდელებში ცალკეული პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით;

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი არ იცვლება: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ნაშთის ცვლილების საპროგნოზო მაჩვენებელი იზრდება - 33,050.0 ათას ლარით, 2023 წლის ბოლოსათვის ნაშთის დაგროვება განაპირობა ბიუჯეტით



განსაზღვრული საკუთრის შემოსავლების დაგეგმილ საპროგნოზო მაჩვენებლებზე მეტი ფინანსური სახსრების შემოსვლამ, კერძოდ გადასახადების (ქონების და დამატებული ღირებულების გადასახადები) ფარგლებში შესრულებამ - 111.1% შეადგინა (9,784.5 ათასი ლარი) და სხვა შემოსავლების - 141.1% (20,173.3 ათასი ლარი). ასევე გადასახდელების (ხარჯვით ნაწილი) ფარგლებში რიგ ღონისძიებებში ფაქტიურად შესრულებული მომსახურებისა და სამუშაოების დასრულების შედეგად დარჩენილმა ეკონომიამ. წარმოდგენილი პროექტის მიხედვით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის გადასახდელები იზრდება 33,050,000 ათასი ლარით.

## ა ზ რ ი

### გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მოსახლეობაზე დაპირებული ღონისძიებები მაქსიმალურად იქნება გაკეთებული.

საკრებულოს წევრმა ნინო ცხვარაძემ მერს მიმართა, რომ მუნიციპალიტეტმა შეძლო 6 მრავალშვილიან ოჯახებზე საკუთრებაში ბინების გადაცემა, რაზედაც დასვა კითხვა მიმდინარე წელს იგეგმება თუ არა. ასევე სამედიცინო კუთხით ახალი ღონისძიება დაემატა კვლევებთან დაკავშირებით, რაზედაც მოითხოვა მოსახლეობისთვის სრული განმარტების გაკეთება.

საკრებულოს წევრი ზურაბ ნაკაიძე მიესალმება ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას, რომელიც ქალაქის შემოსავალს გაზრდის. ასევე დასვა კითხვები: შემოსავლების გაზრდის კუთხით ახალი ღონისძიებების თაობაზე და ქალაქში შუქნიშნების პრობლემის შესახებ.

საკრებულოს წევრმა ნატალია ზოიძემ განაცხადა, რომ პროექტის „შენი იდეა ბათუმს“ ავტორს შემოაქვს ისეთი ხარჯთაღრიცხვა, რომელიც არაა გადამოწმებული, რადგან ღირებულება და ავტორის დასახელებული თანხა აღემატება პროექტის ღირებულებას. ასევე აღნიშნა, რომ 2013 წლიდან დაიწყო მრავალშვილიანი ოჯახებისთვის ბინების გადაცემა, 10 შვილიანი ოჯახებიდან დაწყებული 6 შვილიანი ოჯახებიც დაკმაყოფილებულია. წინა წელს 6 შვილიანი 16 ოჯახი დასაჩუქრდა ბინებით. მადლობა გადაუხადა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს ქალთა ფეხბურთზე მხარდაჭერისთვის.

საკრებულოს წევრმა აკაკი გვიანიძემ განაცხადა, რომ ბიუჯეტის ზრდა, პროგრამების განხორციელება კარგია, თუმცა რამდენად შესრულდება არ იციან. ასევე ძველ ბათუმში არ არის არცერთი სტადიონი, რომლის განთავსება შესაძლებელია ე.წ. ჭაჭის ტერიტორიაზე.

საკრებულოს წევრმა გოჩა მგელაძემ აღნიშნა, რომ ბიუჯეტის ზრდა ძალიან კარგია, ახარებს ინფრასტრუქტურული ახალი ღონისძიებები და ასევე ქალთა ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა. დასვა კითხვა 33 მილიონიდან რამდენი დაემატება ახალ ღონისძიებას და რამდენი გარდამავალ ღონისძიებებს. ასევე ახალ საბავშვო ბაღებთან დაკავშირებულ პრობლემებზე არის თუ არა სიახლეები.

საკრებულოს წევრმა ნატალია ძიძიგურმა აღნიშნა, რომ თვითკრიტიკულობა მართებთ, რომ ბიუჯეტის ცვლილებები მერიისა და საკრებულოს პასუხისმგებლობაა. ქალაქი ცოცხალი ორგანიზმია და ყოველთვის ითხოვს ყურადღებას. ბიუჯეტში დაგეგმილი ცვლილებები, გაწერილი პროგრამები ითხოვს ყურადღებას, კვალიფიციურ შესრულებას ხარისხობრივად და ვადებში განხორციელებას. დასვა კითხვა საბავშვო ბაღებთან და შემოსავლების კუთხიდან დაგეგმვის თაობაზე.

საკრებულოს წევრმა ვაჟა დარჩიამ განაცხადა, რომ რამდენიმე ხნის წინ სანდასუფთავების დირექტორმა მოითხოვა 2012 ათას ლარად ავტომობილების შეძენა, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს 2022 წლიანი, ტყავის სალონით, შავი. გამომდინარე აქედან დასვა კითხვა მერს თუ ემსახურება ასეთი მანქანა. რაც შეეხება ბიუჯეტში ცვლილებას, მიესალმება ქალთა ფეხბურთის დაფინანსების საკითხს, თუმცა ასაშენებელია მიმდინარე წელს 6 საბავშვო ბაღი, მათ შორის 3 წინა წლის გეგმიდან და 3 ახალი წლის ბიუჯეტიდან.

საკრებულოს წევრი ასლან ბალაძე უერთდება თურქეთში დატრიალებულ ტრაგედიაში დაღუპულთა ოჯახებს და იზიარებს მწუხარებას. ასევე დღევანდელი საკითხი ქალთა ფეხბურთის დაფინანსება ახარებს, რადგან აუცილებლად გამოადგება მომავალ თაობებს. მადლობა გადაუხადა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს სპორტის საკითხებზე მხარდაჭერისთვის.

საკრებულოს წევრი დავით მახარაძე გამოეხმაურა თურქეთში დატრიალებულ ტრაგედიას და ის ბიჭები, რომლებიც მაშველებად ჩართული არიან მადლობა გადაუხადა. დასვა კითხვა ძალსაშენთან დაკავშირებით, რომელიც ქალაქში ქმნის პრობლემას.

საკრებულოს წევრმა თენგიზ აფხაზავამ განაცხადა, რომ ბიუჯეტის ზრდაზე საუბრისას პირველ რიგში ჩნდება

კითხვა რის ხარჯზე იზრდება. 33 მილიონიდან 20 მილიონი არის საკუთარი შემოსავლებიდან. როცა ეკამათებით ოპონენტს ბიუჯეტის ზრდასთან დაკავშირებით, ყოველთვის კითხულობს თუ რა დგას კონკრეტული რიცხვის და მოსაკრებლების, საკუთარი შემოსავლების ზრდის უკან. ყველაფერი იყო ზუსტად დაცული ბიუჯეტში და საბიუჯეტო ცვლილებებში. ბიუჯეტი კარგად არის შედგენილი, ყველა პროგრამას და ქვეპროგრამას წინასწარი კვლევები უსწრებს. გათვლილია ბათუმის მოსახლეობის კეთილდღეობაზე. პროგრამული ბიუჯეტი არ შეიძლება იყოს კორუფციული. მერს მიმართა თხოვნით, რომ რაც შეიძლება მოკლე დროში გადაყვანილი იქნან პროგრამულ მართვაზე და მათ შორის ქალაქის სერვისის მომსახურებაც.

საკრებულოს წევრმა ირაკლი თავდგირიძემ ტრანსპორტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მუნიციპალური ტრანსპორტის ფასი არ გაიზრდება, რომელიც მისასაღმებელია. რაც შეეხება სამარშრუტო ტაქსებს 50 თეთრის ნაცვლად 70 თეთრს იხდის მოსახლეობა. რაიმე ცვლილებები ხომ არ იგეგმება ამ კუთხით.

საკრებულოს წევრმა ვაჟა დარჩიამ მერს მიმართა, რომ პლაჟზე, სანაპიროზე იქნებოდა შშმ პირებისთვის განკუთვნილი ადაპტირებული გასახდელეები, რომელიც სეზონისთვის გამოუყენებელი იქნება.

საკრებულოს წევრი აკაკი გვიანიძე გამოეხმაურა თენგიზ აფხაზავას, რადგან მანიპულირებს, რადგან უფრო მეტი პროგრამა უნდა აისახოს ბიუჯეტში. ბათუმის სასაფლაოსთვის რამდენიმე მილიონი ლარია დახარჯული, თუმცა დღემდე ვერ იხსნება. მათ მიერ უამრავი სხვა შენიშვნა და რეკომენდაცია იყო წამოყენებული, რომელიც არ ასახულა ბიუჯეტში.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი არჩილ ჩიქოვანი ბათუმელების, ქალაქის სახელით უერთდება სამდიმარს თურქეთსა და სირიაში მომხდარი დაზარალებული ოჯახების მიმართ. მან გასცა პასუხები საკრებულოს წევრების მიერ დასმულ კითხვებს. ბიუჯეტის ზრდა ხდებოდა შეუქცევადად, საჭიროების შესაბამისად, კონკრეტულ კვლევებზე დასაბუთებულად უერთდება თენგიზ აფხაზავას პათოსს. მათემატიკა არის ზუსტი მეცნიერება, პროგრამულად შესაძლებელია იმ გამოწვევების გამკლავება, რაც ჩვენ ყველას ერთად შეგვიძლია გავაკეთოთ. ვერც ერთი კორუფციული ფაქტი იქნება დადასტურებული მარტივი მოცემულობის გამო, პრო-

გრამული ბიუჯეტის ნაწილში ყველაფერი არის გაწერილი წინასწარ მისამართების და თანხების დონეზე. ამავდროულად ყველა შესყიდვა მერიაში ცხადდება ელექტრონული შესყიდვების გზით, აუქციონის მეშვეობით.

ავარიული სახლების ნაწილი ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა. მიმდინარე მოვლენები კიდევ უფრო არწმუნებს, რომ სწორ გზაზე დგანან. ავარიული პროგრამა არის ქ. ბათუმისთვის №1 პრიორიტეტი, ეხება 3000-ზე მეტ ოჯახს. პროგრამის წარმატებით განხორციელება ძალიან მნიშვნელოვანია. ავარიული სახლების პროგრამის განხორციელება აბსოლიტურად გამჭვირვალეა. მოუწოდებს ყველა ბენეფიციარს ადამიანურ უსაფრთხოებისკენ.

ამნისტიის პროექტი მნიშვნელოვანია, გამოიყოფა 2 კომპონენტი: 1. მსგავსი ტიპის რეგულაციები, რომლებიც დახვეწას საჭიროებდა წინა წლებში, დღეს მიღებულია და მოქმედია. 2. ქალაქი ბათუმი არ არის ერთადერთი, კანონში შედის ცვლილება აერო-ვიდეო გადაღებებში. პლაჟების ადაპტირების საკითხს რაც შეეხება, ბულვარის ადმინისტრაციამ საამაყო პროექტი განახორციელა, რასაც პლაჟების ადაპტირება ჰქვია. მერია ცდილობს, რომ ყოველ წელს მინიმუმ 1 მაინც დაემატოს ადაპტირებული პლაჟი, ასევე ინფრასტრუქტურდება თუ ზიანდება, ბუნებრივია ყოველი სეზონის წინ მუნიციპალური სამსახური და ბულვარის ადმინისტრაცია ყველა ღონეს ხმარობს, რომ პლაჟები იყოს მოწესრიგებული.

ბიუჯეტში პრიორიტეტულია: ჯანდაცვა და სოციალური მომსახურებები, სატრანსპორტო პოლიტიკა, ინფრასტრუქტურა და კომუნალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, გარემოს დაცვითი ღონისძიებები და ნარჩენების მართვის სტრატეგია, სარეკრეაციო სივრცეების მატება, სპორტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. მიმართა ოპოზიციურ პარტიას, რომ ტრიბუნას იყენებთ მაღალმატერიალური პროგრამების განსახორციელებლად, თუმცა მუნიციპალიტეტის ჩარჩოს არ უნდა გაცდეს.

მრავალშვილიან ოჯახებზე ბინების გადაცემის საკითხთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ დღეს არ არის იმის შესაძლებლობა ბარიერი დაიწიოს 5 შვილზე, მაგრამ ამავდროულად მიესალმებიან იმ განაცხადებს, რომლებიც შემოვა მუნიციპალიტეტში და აჭარის მთავრობასთან ერთად განიხილავენ ასეთი საკითხების გადაწყვეტას. შემოსვლების ზრდასთან და ქალაქში შუქნიშნების შექმნასთან დაკავშირებით შემოსვლების ზრდის საკითხში უმთავრესი და მთავარი გამოწვევა ეს არის ეკონომიური მაჩვენებლების ზრდა, რომელიც ქვეყნის მასშტაბით ჩვენი ქალაქი დიდი პროცენტობითაა ჩართული.

შუქნიშნების შექმნასთან დაკავშირებით ჭკვიანი სატრანსპორტო პოლიტიკა არის ქალაქისათვის მნიშვნელოვანი. ევროპის წევრ ქალაქებთან აქვთ უშუალო მეგობრული ურთიერთობა, ისევე როგორც კომუნიკაცია, გერმანიის რეკონსტრუქციისა და KFW ბანკი პრაქტიკულად მზადაა და ათანხმებენ ქალაქის ჭკვიან სატრანსპორტო განვითარებასთან დაკავშირებით. საუბარია 14 მილიონი ევროს ღირებულების გრძელვადიან სესხებზე, რომელიც ქალაქში გადაწყვეტს სატრანსპორტო კუთხით შუქნიშნების და ტაბლოების პრობლემას.

ქალთა ფეხბურთის საკითხში მადლობა გადაუხადა ასლან ბალაძეს და საკრებულოს, იდეის ნაწილში სამი წლის განმავლობაში ჰქონდათ მოლაპარაკება. იმედი აქვთ მაღალ ლიგაში გასვლისა. ყველა ინფრასტრუქტურული პროექტი არის ვადიანი. კეთილსინდისიერ კომპანიებთან მიმართებაში ცდილობენ იყვნენ კოლეგიალურ ურთიერთობაში და მაქსიმალურად ცდილობენ ხელშეწყობას. ყოველწლიურად 2 საბავშვო ბაღი აშენდება. თუმცა წელს 6 საბავშვო ბაღის მშენებლობა დაიწყება და აშენდება.

ცხოველთა თავშესაფარის პროექტიც დაიწყო, თუმცა ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის საკმაოდ სოლიდური თანხა დაკარგა კომპანიამ. მიმდინარე წლის მარტის თვისთვის შესყიდვა დასრულდება.

ლერმონტოვის ქუჩაზე მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ყველა თავისუფალი ნაკვეთი გამოყენებული იქნება და დაიტვირთება ინფრასტრუქტურული პროექტებით.

სატრანსპორტო პოლიტიკის კუთხით მიმდინარე წლის აპრილის თვემდე სრულად იქნება დასრულებული მიწოდება ავტოსატრანსპორტო ერთეულებში, ყველა შეიცვლება ავტობუსებით. მუნიციპალური ავტობუსების ტარიფის ზრდა არ იგეგმება და იქნება 30 თეთრი, სამარშრუტო მიკროავტობუსებში სარგებლობისას ტარიფის ზრდას არ დაუჭერს მხარს და ტარიფი არის 50 თეთრი. მუნიციპალური ინსპექცია განახორციელებს მონიტორინგს.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ ლელა სურმანიძემ აღნიშნა, რომ ჯანდაცვის მიმართულებით აბსოლუტური მაღალტექნოლოგიური კვლევების პროგრამას დაემატა ახალი ღონისძიება ანგიოგრაფიის დაფინანსება 200 ბენეფიციარზე, აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს აქვს ასეთი პროგრამა, თუმცა სხვა ქვეჯგუფისათვის, მერიამ გააკეთა მოსახლეობის იმ ნაწილზე, ვისაც 1000 ლარზე ნაკლები ხელფასი აქვს. ასევე იზრდება ღონისძიების გეგმიური გულის ან/და კორონალუ-

რი არტერიების ანგიოგრაფიის დაფინანსება.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქვეყანაში არსებობს მრავალი საერთაშორისო ინსტიტუტი, რომელთა დასკვნით ბათუმის მუნიციპალიტეტი მნიშვნელოვნად წინაა. ბიუჯეტის შესრულების პერიოდში შემოვა ბანკის მიერ მიმდინარე წლის კვლევითი ანგარიში, ეს კვლევა 2 წლის წინ ჩატარდა, სადაც ერთ-ერთი პირველი მუნიციპალიტეტი იყო ბათუმის მერია. ამ კუთხით მსოფლიო პრაქტიკის გათვალისწინებით მოწინავე პოზიციას იკავებდა. ეს დასკვნა იქნება უახლოეს ხანში, რომელიც შემოვა საკრებულოში და მოუწევთ მსჯელობა, თუ როგორ ხდება ბიუჯეტის დაგეგმარება, ანგარიშვალდებულება.

საკრებულოს წევრი ვაჟა დარჩია გამოეხმაურა არჩილ ჩიქოვანს რეპლიკით, რომ ამნისტიის კანონპროექტზე იმ სიტყვებს ამბობდა, ვისაც მუნიციპალიტეტი აფინანსებს.

მან ტრანსპორტის საკითხთან დაკავშირებით მოითხოვა შესაბამის სამსახურებთან ერთად მსჯელობა.

საკრებულოს წევრმა აკაკი გვიანიძემ მაღალი მატერიების კომისიებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ არანაირ მაღალმატერიებზე იყო საუბარი, პირიქით საუბარია, რომ მუნიციპალიტეტმა როდის უნდა მიიღოს მშენებლობები. არის შენობები, სადაც ადამიანები ცხოვრობენ, ექსპლუატაციაში არ არის მიღებული. ეს არის მაღლიან სერიოზული პრობლემა და ამ საკითხთან დაკავშირებით მოითხოვა დროებითი კომისიის შექმნა.

## **სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხომიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.ძიმიგური)

წინააღმდეგი - 2 (ვ. დარჩია, ა.გვიანიძე)

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

**საკითხი 2.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023-2027 წლების მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის უფროსი - რუსუდან ჟოჟაძე)

მომხსენებელმა წარმოადგინა განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ 2014 წლის 27 ივნისს ხელი მოეწერა „ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებას“, შეთანხმების შესაბამისად, საქართველოს მხარემ აიღო ვალდებულება საქმიანობის ყველა სფეროში მიახლოვოს ევროკავშირში არსებულ სტანდარტებთან და დააკმაყოფილოს მისი მოთხოვნები. შეთანხმების მე-3 თავი ეხება გარემოს დაცვას, რომლის მიხედვითაც მხარეები განავითარებენ და განამტკიცებენ თანამშრომლობას გარემოს დაცვის საკითხებზე, რითიც წვლილს შეიტანენ მდგრადი განვითარებისა და მწვანე ეკონომიკის გრძელვადიანი მიზნების განხორციელებაში.

2015 წლის 12 იანვარს ძალაში შევიდა საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“, რომლის მე-6 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, ნარჩენების მართვის სფეროში მუნიციპალიტეტის კომპეტენციას განეკუთვნება. ხოლო მე-13 მუხლის თანახმად თითოეული მუნიციპალიტეტი იღებს მის ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5-წლიან გეგმას. ნარჩენების მართვის კოდექსის საფუძველზე ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშავა, ხოლო საკრებულომ დაამტკიცა (ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №79 განკარგულება, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ) მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმა (2018-2022). წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023-2027 წლების მუნიციპალური ნარჩენების მართვის განახლებულ 5 წლიან გეგმას, რომელიც მომზადებულია გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვედეთის მხარდაჭერით.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის მიზანია მის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესება, არსებული გამოწვევების გადაჭრის გზების მოძიება და აღსრულება იმგვარად, რომ ისინი პასუხობდნენ კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა მომზადდა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით, განხორციელდა შეხვედრები როგორც მოსახლეობასთან, ასევე არასამთავრობო სექტორის, საჯარო სტრუქტურებისა და მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ფარგლებში შექმნილ ორგანიზაციების, ნარჩენების გადამამუშავებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. გეგმის სამუშაო ვერსიის დასრულების შემდეგ მოეწყო მისი საჯარო განხილვა.

**აზრი  
გამოთქვეს:**

საკრებულოს წევრმა აკაკი გვიანიძემ განაცხადა, რომ პირველ რიგში მადლობა უნდა გადაუხადოთ დონორ ორგანიზაციებს, რომლებიც მუშაობენ ამ მიმართულებით. წარმოდგენილია 1918-2022 წლებში სამოქმედო გეგმის ანალიზი, რომელსაც რამდენიმე თვის წინ ეძებდა და არ აღმოჩნდა. ანალიზის მიხედვით არაფერი არ შესრულებულა.

მომხსენებლის განმარტებით, მონიტორინგის სისტემაა შემოთავაზებული თუ როგორ უნდა განხორციელდეს გეგმის შესრულება.

საკრებულოს წევრმა თეონა ბერიძემ დასვა კითხვა პარტიზორების ვინაობის შესახებ. მისი აზრით, აღმზრდელი და საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩართვა არ იქნება ურიგო ცნობიერების ამაღლების კუთხით.

მომხსენებელი დაეთანხმა თეონა ბერიძეს, რადგან ამ კუთხით კარგი ღონისძიებები გაკეთდება.

საკრებულოს წევრმა ნატალია ზოიძემ განაცხადა მოსახლეობის საყურადღებოდ, რომ სამშენებლო ნარჩენების გასატანად გამოიძახონ მანქანა.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 20  
არ ესწრებოდა: 1(ვ.დარჩია)

კენჭისყრისშედეგები: მომხრე - 20 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ. ცხიძე, გ.მგელაძე, ნ. ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.ძიმიგური, ა.გვიანიძე)

წინააღმდეგი - 0

**და ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**სხდომის თავმჯდომარემ რამაზ ჯინჭარაძემ გამოაცხადა შესვენება.  
სხდომა განახლდა 13.30 სთ.**



**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

**საკითხი 3.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიაზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (დასახლება მეჯინისწყალი, ფრიდონ ხალვაშის 188; ს/კ N05.32.09.877; აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო).

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსის მ/შ - მამუკა რამიშვილი)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ განკარგულების მიღების მიზანია ქალაქ ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის ქ. N188-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე N05.32.09.877 მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობის მიზნით წარმოდგენილ გეგმარებით ერთეულზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცება.

ინიციატორის მიერ დასახელებული განვითარების მიზანია მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა, მოთხოვნილია დადგენილი კ2 მაჩვენებლის გადამეტება, რაც წარმოადგენს სწორედ საერთო ქალაქგეგმარებითი ხასიათის ცვლილებებს და ამასთან საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 19 (შემდგომ კოდექსი) 41-ე მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილია კ2 მაჩვენებლის გადამეტების საფუძველი — გდგ, სახეზე გვაქვს დაგეგმვის საჭიროება.

**ა ზ რ ი**

**გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :**

საკრებულოს წევრმა თენგიზ აფხაზავამ განაცხადა, რომ დეტალურად გაეცნო წარმოდგენილ პროექტს და გადახედა პროფესიონალების შეფასებას. კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ ბათუმში არის ძალიან ძლიერი ადამიანები, მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებსაც შეუძლიათ მაღალ დონეზე წარმოადგინონ დეტალური გეგმა და პრაქტიკულად კითხვის ნიშანიც კი არ ჩნდება იმასთან მიმართებაში, თუ როგორ უნდა დაპროექტდეს.

საკრებულოს წევრმა ვაჟა დარჩიამ აღნიშნა, რომ ოცნების სახლის ტერიტორიაზე ნებისმიერი გადადგმული ნაბიჯი სასიკეთოა.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ აღნიშნულ დასახლებაში უამრავი ადამიანი ცხოვრობს, რომელთა პირობები გაუსაძლისია. მაღლობა გადაუხადა მერიას დროულად მოხერხდა მეორე ეტაპის განხილვა, რითაც დღეს მხარდაჭერის შემთხვევაში ერთ-ერთი სოციალური პრობლემა იქნება გადაწყვეტილი.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

კენჭისყრისშედეგები: მომხრე - 20 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხოიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ვ. დარჩია, ა. გვიანიძე)

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა 1(ნ.ძიმიგური)

**და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

**საკითხი 4.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიაზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (რუსთაველის ქ.N20; ს/კ N05.22.06.001; შპს „ორიქსი“).

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსის მ/შ - მამუკა რამიშვილი)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ დადგენილების მიღების მიზანია ქალაქ ბათუმში, რუსთაველის ქ. N20-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე ს/ კN05.22.06.001 სასტუმროს მშენებლობის მიზნით განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცება.

ინიციატორის მიერ დასახელებული განვითარების მიზანია 8 სართულიანი სასტუმროს მშენებლობა, რაც უზრუნველყოფს საპროექტო კომპლექსის ვიზუალურ, მოცულობით, არქიტექტურულ და ქალაქგეგმარებითი მნიშვნელობიდან გამომდინარე მოცემული ადგილის განვითარებას. რისთვისაც საჭიროა განაშენიანების ინტენსიობის კ2 კოეფიციენტის გადამეტება. დაინტერესებული პირი განმარტავს, რომ პროექტირების განხორციელების მთავარი მიზანი არის აღნიშნული კვარტალის არქიტექტურული იერსახის სრულყოფა და არსებული ამორტიზებული შენობის ნაცვლად ახალი ესთეტიკური ვიზუალის მქონე სასტუმროს მშენებლობა.

**ა ზ რ ი**

**გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :**

საკრებულოს წევრმა ნატალია ძიმიგურმა დასვა კითხვა კულტურული სააგენტოდან მიღებული პასუხის შესახებ, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ კომისიამ განიხილა და შესაბამისად მიეცა დადებითი შეფასება.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

კენჭისყრისშედეგები: მომხრე - 18 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე)

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა -3 (ა. გვიანიძე, ვ. დარჩია, ნ. ძიძიგური)

**და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

**საკითხი 5.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (რუსთაველის ქ. N21-ში, ს/კ N05.22.12.029; შპს „გრინკო“).

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსის მ/შ მამუკა რამიშვილი)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტის მიღების მიზანია ქალაქ ბათუმში, რუსთაველის ქ. N21-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე ს/კN05.22.12.029 მრავალსართულიანი შენობის მშენებლობის მიზნით წარმოდგენილ გეგმარებით ერთეულზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცება.

განმცხადებელი შპს „გრინკო“, დირექტორი ლევან წივჭივაძე.

ინიციატორის მიერ დასახელებული განვითარების მიზანია მრავალსართულიანი შენობის მშენებლობა, რაც უზრუნველყოფს საპროექტო კომპლექსის ვიზუალურ, მოცულობით, არქიტექტურულ და ქალაქგეგმარებითი მნიშვნელობიდან გამომდინარე მოცემული ადგილის განვითარებას. რისთვისაც საჭიროა განაშენიანების ინტენსიობის კ2 კოეფიციენტის გადამეტება. დაინტერესებული პირი განმარტავს, რომ პროექტირების განხორციელების მთავარი მიზანი არის ბარაკული ტიპის ამორტიზირებული საცხოვრებელი ფართების სანაცვლოდ მრავალსართულიანი შენობის მშენებლობა; მაცხოვრებელთა სოციალური პირობების გაუმჯობესება და ქალაქის ცენტრალურ ნაწილში - ზღვისპირა პარკის მიმდებარედ არაესთეტიკური უსახური ობიექტების თანამედროვე არქიტექტურული ღირებულების მქონე შენობით ჩანაცვლება.

## აზრო

### გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა აკაკი გვიანიძემ განაცხადა, რომ ექსპერტები მიიჩნევენ აღნიშნული პროექტის განხორციელება ცუდ შედეგებამდე მიიყვანს. მეორე, რომ იმ უბანში, სადაც შენდება კორპუსი განიავება აღარ ხდებოდა ორი დიდი მშენებლობის გამო. შესაბამისად უკანა კვარტლის ბედი გასარკვევია.

მომხსენებლის განმარტებით, ექსპერტების დასკვნიდან გამომდინარე იზოლაციის კუთხით პრობლემა არ შეიქმნება.

### სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხომიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე)

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა -3 (ა. გვიანიძე, ვ. დარჩია, ნ. ძიმიგური)

### დაადგინეს: მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

### მოისმინეს:

**საკითხი 6.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ფარნავაზ მეფის ქ. N68-ში, ს/კ N05.22.30.004; შპს „დიო ბილდინგი“).

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსის მ/შ მამუკა რამიშვილი)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტის მიღების მიზანია ქალაქ ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქ. N68-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ. N05.22.30.004) 5 სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცება.

ინიციატორის მიერ დასახელებული განვითარების მიზანია არსებული ერთსართულიანი, ბარაკული ტიპის, ამორტიზირებული საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლება 5 სართულიანი საცხოვრებელი სახლით; არ ხდება განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გაზრდა, გეგმარებითი ერთეული მოქცეულია

ფარნავაზ მეფის, ვაჟა ფშაველას, ზურაბ გორგილაძის და ლუკა ასათიანის ქუჩებს შორის.

დამტკიცების შემდეგ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ საჭიროა გადააგზავნოს შესათანხმებლად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოში, საიდანაც მოსული შესაბამისი დასკვნის შემდეგ განიხილება გეგმა/პროექტი.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

კენჭისყრისშედეგები: მომხრე - 18 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ა. გვიანიძე)

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა -3 (ა. გვიანიძე, ვ. დარჩია, ნ. ძიმიგური)

**და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

**საკითხი 7.** „სახელმწიფო და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტის, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-6 პუნქტის, „სახელმწიფოს და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 8 ოქტომბრის №784 ბრძანებულების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წარმოდგენილია ქალაქ ბათუმში სახელმწიფო და ქალაქ

ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სა-მეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 19  
არ ესწრებოდა: 2 (ა. გვიანიძე, ვ. დარჩია)

კენჭისყრისშედეგები: მომხრე - 19 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხოიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.მიძიგური)

წინააღმდეგი - 0

**და ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

**საკითხი 8.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილება ითვალისწინებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირებული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთის) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ საპრივატიზებო უძრავი ობიექტების ნუსხასა და პრივატიზების გეგმაში შეტანას, შემდგომში მათი განკარგვის მიზნით.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 20 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხომიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.მიძიგური, ვ. დარჩია)

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა -1(ა. გვიანიძე)

**და ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

**საკითხი 9.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული ქ.ბათუმში, რეჯებ ნიჟარაძის ქუჩა N6-ის მიმდებარედ არსებული 44,00 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის N627/02 (N07-1423038293-14) წერილი, იმის თაობაზე, რომ შპს „რს ინვესტმენტს“ ქალაქ ბათუმში, რეჯებ ნიჟარაძის ქუჩა №6-ში (ადლიისა და ლეხ და მარია კაჩინსკების ქუჩებს შორის) საკუთრებაში გააჩნია 1062,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ №05.32.18.053). აღნიშნული მიწის ნაკვეთის საზღვრებში მოქცეულია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 15 კვ.მ. და 01 კვ.მ. ფართის 2 მიწის ნაკვეთი (ს.კ. 05.32.18.052; ს.კ. 05.32.18.050 და ს.კ. 05.32.18.051), რომლებზეც განთავსებულია სატრანსფორმატორო პუნქტის შენობა-ნაგებობა და 2 მაღალი ძაბვის ბოძი (10/0,4 კვ ძაბვის გამანაწილებელი ქსელი).

წერილში განმარტებულია, რომ შპს „რს ინვესტმენტმა“ რამდენჯერმე მიმართა ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას და მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობის განხორციელებიდან გამომდინარე სურს მიწის ნაკვეთი გამოათავისუფლოს მასზე განთავსებული სატრანსფორმატორო პუნქტის შენობა-ნაგებობისაგან, ასევე ძაბვის გამანაწილებელი ქსელისაგან და ამისთვის ითხოვს მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ - ქ. ბათუმში, რეჯებ ნიჟარაძის ქ. N6-ის მიმდებარედ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული 44,00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს.კ. 05.32.18.076) გადაცემას ან აუქციონის წესით შესყიდვას, შემდგომში მასზე სატრანსფორმატორო პუნქტის შენობა-ნაგებობის გადასატანად. შპს „რს ინვესტმენტი“ იღებს ვალდებულებას (განცხ. #10/1422196351-14; 15.07.2022წ.) რომ კეთილმოაწყობს მიმდებარე ტერიტორიას (ბორდიურის მოწყობა, მიწის მოპირკეთება, სატრანსფორმატორო პუნქტის შენობა-ნაგებობის გამწვანებით შეფუთვა და ა.შ.). რადგანაც საკითხი არის მიზნობრივი, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია სატრანსფორმატორო პუნქტისათვის მოთხოვნილი მიწის ნაკვეთის პირდაპირი გზით განკარგვა.

ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია უფლებამოსილი არაა მოახდინოს მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით გასხვისება, საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით და მითითებული გარემოების გათვალისწინებით, აჭარის არ მთავრობა ითხოვს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული 44,00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს.კ. 05.32.18.076) შემდგომში მისი პირდაპირი განკარგვის წესით შპს „რს ინვესტმენტ“-ზე საკუთრებაში განსაკარგავად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემას, მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულების - 54 648,0 ლარის შპს „რს ინვესტმენტ“-ის მიერ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ჩარიცხვის, ასევე მის მიერ მითითებული (განცხ. N10/1422196351-14; 15.07.2022წ.) ვალდებულებების შესრულების პირობით.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 20 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.მიძიგური, ვ. დარჩია)

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა -1(ა. გვიანიძე)

**და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

**საკითხი 10.** „ხელმისაწვდომი საცხოვრისით სარგებლობის კრიტერიუმებისა და ბენეფიციართა შერჩევის ინსტრუმენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 თებერვლის №15 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 თებერვლის №15 განკარგულებით დამტკიცდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული პროგრამის „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი“ ქვეპროგრამით „საცხოვრებელი სახლების მშენებლობა“ გათვალისწინებული საცხოვრებელი სახლით („ხელმისაწვდომი საცხოვრისით“) სარგებლობის კრიტერიუმები და ბენეფიციართა შერჩევის ინსტრუმენტი. ხსენებული პროგრამის მიზანია



„ხელმისაწვდომი საცხოვრისით“ ისარგებლონ ბათუმში დამკვიდრებულმა ოჯახებმა, რომელთაც აქვს ძლიერი საჭიროება, თუმცა არ გააჩნიათ საკუთარი საცხოვრებელი (არც სხვა უძრავი ქონება - არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ან კომერციული ფართი), ამასთანავე, ოჯახის წევრების სტაბილური სამსახურის შესაბამისად, სტაბილური, თუმცა საშუალო შემოსავლის წყალობით ზომიერ ფასად შეუძლიათ იქირაონ საცხოვრებელი, შეუფერხებლად გადაიხადონ ქირა და კომუნალური (ან სხვა) გადასახადები. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 თებერვლის №15 განკარგულებით დამტკიცებული დანართი N1-ის - „ხელმისაწვდომი საცხოვრისის კრიტერიუმები“ - მე-2 მუხლის (შერჩევის კრიტერიუმები) მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ოჯახის ერთ სრულწლოვან წევრს მაინც უნდა ჰქონდეს რეგისტრაცია ბათუმში, სულ მცირე ერთი წელი მაინც. ხსენებული პროგრამის ფარგლებში ორ ეტაპად განხორციელდა ბენეფიციართა შერჩევა და საცხოვრებლის გადაცემა. განცხადებების განხილვის ეტაპზე გამოიკვეთა, რომ პროგრამაში მონაწილეობის სურვილს გამოთქვამდენ ოჯახები, რომლებმაც პროგრამაში მონაწილეობის მიზნით ბათუმში რეგისტრაცია გაიარეს პროგრამის ამოქმედების შემდეგ და რეგისტრაციიდან ერთი წლის შემდგომ მომართავენ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, „ხელმისაწვდომი საცხოვრისით სარგებლობის კრიტერიუმებისა და ბენეფიციართა შერჩევის ინსტრუმენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 თებერვლის №15 განკარგულებაში ცვლილების განხორციელება და პროგრამით სარგებლობის მიღების შესაძლებლობა მიეცეთ იმ ოჯახებს, რომლებიც ბათუმში იყვნენ რეგისტრირებული 2019 წლის 28 თებერვლის №15 განკარგულების ამოქმედებამდე.

## **ა ზ რ ი**

### **გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:**

საკრებულოს წევრმა ნატალია ზოიძემ განაცხადა, რომ ცვლილება ობიექტურობისთვის და მიუკერძოებისთვის შედის, რადგან განცხადებების განხილვის ეტაპზე გამოიკვეთა, რომ პროგრამაში მონაწილეობის სურვილს გამოთქვამდენ ოჯახები, რომლებმაც პროგრამაში მონაწილეობის მიზნით ბათუმში რეგისტრაცია გაიარეს პროგრამის ამოქმედების შემდეგ.

საკრებულოს წევრმა თენგიზ აფხაზავამ აღნიშნა, რომ მოსახლეობას პროგრამის დაწყებამდე განუმარტეს, რომ ეს პროგრამა არ არის სოციალურად დაუცველებისთვის.

საკრებულოს წევრმა ზურაბ ნაკაიძემ აღნიშნა, რომ საკრებულოს საფინანსო და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომაზე ჰქონდა შენიშვნა განკარგულების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტთან დაკავშირებით, რაც გულისხმობს ხელმისაწვდომი საცხოვრისის პროგრამის ფარგლებში შერჩეული ოჯახების ქირის დაფარვისა და ბინის გამოსყიდვის ვადის გაზრდას ნაცვლად 15 წლისა 20 წლით. ასევე აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 სექტემბრის #73

განკარგულების „ბ“ ქვეპუნქტი მიზანშეწონილია შეიცვალოს და ნაცვლად 15 წლის ვადა განისაზღვროს 20 წლის ვადით.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკრებულოს საფინანსო და ინფრასტრუქტურის კომისიაზე გამოითქვა შენიშვნა, ასახული იქნა წარმოდგენილ განკარგულების პროექტში. შესაბამისად შეიცვალა განკარგულების სათაური, რომელიც წარმოდგენილია შემდეგი სახით: „ხელმისაწვდომი საცხოვრისით სარგებლობის კრიტერიუმებისა და ბენეფიციართა შერჩევის ინსტრუმენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 თებერვლის №15 განკარგულებაში და „მუნიციპალური პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“ განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 სექტემბრის №73 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი, ცვლილების გათვალისწინებით დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

კენჭისყრისშედეგები: მომხრე - 20 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხომიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.ძიძიგური, ვ. დარჩია)

წინააღმდეგი - 1(ა. გვიანიძე)

**და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი, ცვლილების გათვალისწინებით.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

**საკითხი 11.** „მუნიციპალური პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“-ს ფარგლებში ქალაქ ბათუმში, ივანე ჯავახიშვილის ქ. N82-ში აშენებულ საცხოვრებელ კორპუსებში ბინების ღირებულებისა და ბენეფიციართა მიერ ყოველთვიური გადასახადის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ მუნიციპალური პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“-ს ფარგლებში ქ. ბათუმში,

ივანე ჯავახიშვილის ქ. #82-ში, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 4612,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი #05.26.02.147) აშენდა 4 კორპუსი. შესაბამისად უნდა განისაზღვროს ბინების 1 კვ.მ ფართის ღირებულება საერთო სარგებლობის ფართთან და წილობრივ მიწასთან ერთად და ბენიფიციართა მიერ ყოველთვიური გადასახადის ოდენობა.

სულ აშენდა 4 კორპუსი: N1 კორპუსი; N2 კორპუსი; N3 კორპუსი; N4 კორპუსი; თითოეულ კორპუსში არის 25 ბინა; სულ - 100 ბინა;

N1 კორპუსის საერთო ფართი - 1871,42 კვ.მ.; N2 კორპუსის საერთო ფართი - 1870,46 კვ.მ.;

N3 კორპუსის საერთო ფართი - 1872,85 კვ.მ.; N4 კორპუსის საერთო ფართი - 1870,38 კვ.მ.; 4 კორპუსის საერთო ფართია 7485,11 კვ.მ.

N1 კორპუსში 25 ბინის საერთო ფართი - 1303,56 კვ.მ.; N2 კორპუსში 25 ბინის საერთო ფართი - 1301,94 კვ.მ.; N3 კორპუსში 25 ბინის საერთო ფართი - 1308,32 კვ.მ.;

N4 კორპუსში 25 ბინის საერთო ფართია 1301,90 კვ.მ.;

4 კორპუსში 100 ბინის საერთო ფართია: 5215,72 კვ.მ.

4 კორპუსის ღირებულება (აშენების) შეადგენს - 7 941 696,49 ლარს;

ბინის 1 კვ.მ. ფართის საერთო სარგებლობის ფართებთან ერთად ღირებულება:

$7\,941\,696,49 / 5215,72 = 1522,65$  ლარი

მიწის ნორმატიული ღირებულება:  $4612 * 165,6$  ლრ. = 763 747,20 ლარი;;

ბინის 1 კვ.მ. ფართზე წილობრივი მიწის ღირებულება:  $763\,747,20 / 5215,72 = 146,43$

ლარი; ბინის 1 კვ.მ. ფართის ღირებულება საერთო სარგებლობის ფართთან და წილობრივ მიწასთან ერთად:  $1522,65 + 146,43 = 1669,08$  ლარი.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე ქალაქ ბათუმში, ივანე ჯავახიშვილის ქ. #82-ში, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 4612,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი #05.26.02.147) აშენებულ კორპუსებში არსებული ბინების 1 კვ.მ ფართის ღირებულება საერთო სარგებლობის ფართთან და წილობრივ მიწასთან ერთად განისაზღვროს 1669,08 ლარის ოდენობით. შესაბამისად, თითოეული ბინის სრული ღირებულება და ბენიფიციართა მიერ ყოველთვიური გადასახადის ოდენობა განისაზღვროს განკარგულების დანართის მიხედვით.

## ა ზ რ ი

### გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

საკრებულოს წევრმა ზურაბ ნაკაიძემ აღნიშნა, რომ საფინანსო და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომაზე ჰქონდა შენიშვნა განკარგულების დანართში ვადასთან დაკავშირებით, კერძოდ ქირის დაფარვისა და ბინის გამოსყიდვის ვადა განისაზღვროს ნაცვლად 15 წლისა 20 წლით. აღნიშნული ცვლილება გამოიწვევს დანართში ვადისა და თვეების რაოდენობის ცვლილებას.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით ქირის დაფარვისა და ბინის გამოსყიდვის ვადა, წარმოდგენილ ცვლილებაზე მხარდაჭერის შემთხვევაში განისაზღვრება 20 წლით, თვეების რაოდენობა კი 240 თვით.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი, ცვლილების გათვალისწინებით დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

კენჭისყრისშედეგები: მომხრე - 21 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხომიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.მიძიგული, ვ. დარჩია, ა. გვიანიძე)

წინააღმდეგი - 0

**და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი, ცვლილების გათვალისწინებით .**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

**საკითხი 12.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ.ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის ქ. №231-ის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2023 წლის 10 თებერვლის N794/02 (N07-1423041251-14) წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 3 თებერვლის N14-142303480 კორესპონდენციით დაისვა საკითხი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებულ, ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N231-ის მიმდებარედ არსებული 620,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს.კ. 05.35.23.982) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე. შემდგომში, მისი შპს „მარეთი 2022 (1)“-ის საკუთრებაში რეგისტრირებულ, ქ. ბათუმში, დასახლება ანგისაში მდებარე 161,0 კვ.მ (05.25.09.039) და 50,0 კვ.მ (05.25.09.040) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებთან მონაცვლეობის მიზნით.

შპს „მარეთი 2022 (1)“ აცხადებს თანხმობას მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების (ს.კ. 05.25.09.039 და 05.25.09.040) ადგილმონაცვლეობა განხორციელდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებულ, ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N231-ის მიმდებარედ არსებულ 620,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთთან (ს.კ. 05.35.23.982). რომლის (ს.კ. 05.35.23.982) საბაზრო ღირებულება, სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ N008194122 დასკვნით განისაზღვრა - 257 232 (ორას ორმოცდაჩვიდმეტი ათას ორას ოცდათორმეტი) ლარით. შპს „მარეთი 2022 (1)“ -ის საკუთრებაში არსებული დასახლება ანგისაში მდებარე, N05.25.09.039 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 161,0 კვ.მ მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება, სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის

ეროვნული ბიუროს“ N008190622 დასკვნით განისაზღვრა 106 526 (ასექვისი ათას ხუთას ოცდაექვსი)ლარით. სამონაცვლო უძრავი ქონებების ღირებულებებს შორის სხვაობა შეადგენს 117 623 ლარს, მითითებული სხვაობა უნდა ჩაირიცხოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში. ამასთან, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N05.35.23.982 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მონაცვლეობის შემთხვევაში N05.35.23.902 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ კერძო საკუთრებას ეზღუდება მისასვლელი გზა. შესაბამისად, შპს „მარეთი 2022 (1)“ ვალდებული იქნება N05.35.23.902 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთთან მისასვლელად სერვისტუტის უფლებით დაიტვირთოს N05.35.23.982 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილი.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია არ არის უფლებამოსილი განახორციელოს კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთთან მონაცვლეობა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 3 თებერვლის N14-142303480 კორესპონდენციის შესაბამისად განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ზემოთ მითითებული მიწის ნაკვეთის (ს.კ. 05.35.23.982) აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემა შემდგომში, მისი შპს „მარეთი 2022 (1)“ საკუთრებაში რეგისტრირებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებთან (ს.კ. 05.25.09.039, ს.კ.05.25.09.040) მონაცვლეობის მიზნით.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია თვლის, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთის გადაცემა მოხდეს პირობებით:

ა) პოზიტიური პირობით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 93-ე მუხლი) - უნდა მოხდეს უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემული უძრავი ქონების - ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის ქ. №231-ის მიმდებარედ 620,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს.კ. 05.35.23.982) შპს „მარეთი 2022 (1)“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით საკუთრებაში გადაცემა იმ პირობით, რომ შესაბამისი გარიგების (ხელშეკრულების) გაფორმებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში შპს „მარეთი 2022 (1)“ მის საკუთრებაში რეგისტრირებულ უძრავ ქონებას - ქ. ბათუმში, დასახლება ანგისაში მდებარე 161,0 კვ.მ. და 50,0 კვ.მ მიწის ნაკვეთებს (ს.კ. 05.25.09.039 და ს.კ. 05.25.09.040) უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადასცემს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკას შემდგომში, მისი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადაცემის მიზნით, მათზე სკვერის და სპორტული მოედნის (ღია ტიპის სპორტული კომპლექსის) მოწყობისათვის. ამავდროულად სამონაცვლო უძრავი ქონებების ღირებულებებს შორის სხვაობა 117 623,0 ლარი უნდა ჩაირიცხოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს ბიუჯეტში. ამასთან, კომპანია ვალდებული იქნება N05.35.23.902 საკადასტრო კოდით კერძო საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთთან მისასვლელად სერვისტუტის უფლებით დატვირთოს 05.35.23.982 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილი.

ბ) გადადების პირობით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 96-ე მუხლი) - უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემულ უძრავ ქონებაზე (ს.კ. 05.35.23.982) აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრების უფლება შეუწყდება, თუ არ მოხდება მისი შპს „მარეთი 2022 (1)“ პირდაპირი განკარგვის ფორმით საკუთრებაში გადაცემა იმ პირობით, რომ კომპანია მის საკუთრებაში რეგისტრირებულ უძრავ ქონებას - ქ. ბათუმში, დასახლება ანგისაში მდებარე 161,0 კვ.მ. და 50,0 კვ.მ მიწის ნაკვეთებს (ს.კ. 05.25.09.039 და ს.კ. 05.25.09.040) უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადასცემს

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკას შემდგომში, მისი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადაცემის მიზნით. ამავდროულად სამონაცვლო უძრავი ქონებების ღირებულებებს შორის სხვაობა 117 623,0 ლარი კომპანიამ უნდა ჩაირიცხოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს ბიუჯეტში. ამასთან, შპს „მარეთი 2020 (1)“-ს უნდა დაეკისროს N05.35.23.902 საკადასტრო კოდით კერძო საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთთან მისასვლელად N05.35.23.982 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილის სერვისტუტის უფლებით დატვირთვის ვალდებულება.

სხვა შემთხვევაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება უბრუნდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს, რომელიც დამოუკიდებლად წყვეტს მისი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განკარგვის საკითხს.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

კენჭისყრისშედეგები: მომხრე - 21 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხომიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.ძიმიგური, ვ. დარჩია, ა. გვიანიძე)

წინააღმდეგი - 0

**და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

რამაზ ჯინჭარაძე

სხდომის მდივანი:

მზევინარ წულუკიძე

